სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 94

CPV 75124000

ქ. თბილისი 2019 წელი.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულიად ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვაპირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **გორის მუნიციპალიტეტის მერია** (საიდ/კოდი: 218086087) (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **კონსტანტინე თავზარაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის **დავით ალადაშვილის** სახით, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა **(მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურება)** შიდა ქართლის სატყეო სამსახურის გორის სატყეო უბნის ატენის სატყეოს კვარტალი N12-ის ლიტერი NN11, 26; კვარტალი N11-ის ლიტერი NN2, 4, 8, 10, 11, 15-ში, თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად გათვალისწინებულ **129388.35** კვადრატულ მეტრ მიწის ფართობებზე ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული მოცულობისა და სავარაუდო ღირებულების ფარგლებში.

4. მომსახურების ღირებულება

4.1. 1 (ერთი) m^3 მერქნული რესურსის აღრიცხვის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით). მომსახურების ტარიფი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით - „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული მე-4 დანართის მე-6 პუნქტის შესაბამისად - 3 ლარი აღრიცხულ 1 კუბურ მეტრ მერქნულ რესურსზე.
4.2 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად აღრიცხული მოცულობისა და 1 (ერთი) m^3 მერქნული რესურსის აღრიცხვის ღირებულების ერთმანეთზე ნამრავლით და დადგინდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
4.3. .ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს არა უმეტეს **2 000** (ორიათასი) ლარს.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების განუხრელი დაცვით.
5.2.მომსახურების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.
6.2.მომსახურების მიწოდების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი (დანართი 1-ის შესაბამისად).
6.3.შემსყიდველის მხრიდან შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირად განისაზღვრება, **გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნიკოლოზ ლაფაჩი (პ/ნ 59001031547);**
6.4 მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსი კახა გაზდელიანი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
7.4.ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1.მიმწოდებელი ვალდებულია:
8.1.1.შემსყიდველს მიაწოდოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
8.1.2.მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება საქართველოში მოქმედი ნორმატიული ატქებისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
8.1.3.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
8.1.4.დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
8.2.შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. მიმწოდებელს ჩააბაროს ტყეკაფის მონიშვნას დაქვემდებარებული ტერიტორიის გარე კონტურები.
8.2.2.დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.
8.2.3.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროულიდა სრული ანგარიშსწორება.
9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
9.2.1აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
9.2.2 უარი განაცხადოს არასათანადო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისგამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორემხარისაგან წერილობითპ ასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებები სშესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1თუ რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
11.3ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონეუნდაიხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერშეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარესწერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამომ ხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების0,07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულებისშეწყვეტა

15.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1მხარეთა შეთანხმებით;
15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
15.1.3საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. **ინსპექტირების პირობები**

16.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნიკოლოზ ლაფაჩი (პ/ნ 59001031547);**
16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
16.2.1.მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
16.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

17. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშიშ ედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 ოქტომბრამდე.
18.1ხელშეკრულება შედგენილია 1 ელექტრონულ ეგზემპლარად.
18.2ხელშეკრულების ელექტრონული ეგზემპლარი ინახება როგორც ,,შემსყიდველთან", ასევე ,,მიმწოდებელთან''.

„მიმწოდებელი"	„შემსყიდველი"
ს.ს.ი.პ ეროვნული სატყეო სააგენტო მის. გ. გულუას ქ. N 6 საიდ/კოდი: N 204578581 ტელ: (+995 32) 2 72 72 87 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი -TRESGE22 სახაზინო კოდი /ანგარიში N707367499 LEPL National Forestry Agency Digitally signed by LEPL National Forestry Agency Date: 2019.09.03 14:50:17 +04'00' ----------	გორის მუნიციპალიტეტის მერია; მის: ქალაქი გორი, გ. ფერაძის ქ. N5; ტელ: (+995) 598 38 07 74 (ნიკოლოზ ლაფაჩი); საიდ/კოდი: 218086087; სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ; ა/ა: 300843640 Gori Municipality Digitally signed by Gori Municipality Date: 2019.09.03 13:48:56 +04'00' ----------
დავით ალადაშვილი სააგენტოს უფროსის მოადგილე	**კონსტანტინე თავზარაშვილი** გორის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 1

სახელმწიფო ტყის ფონდიდან ფართობის კორექტირებისას (ამორიცხვისას), ან და სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისას მერქნული რესურსის აღრიცხვის უწყისი

1.ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ტერიტორიული ორგანო----------

2.სატყეო უბანი----------; 3.სატყეო----------;
4.კვარტალი N---------; 5.ლიტერი (ლიტერები) N----------; ან ----------მიმდებარე ყოფილი საკოლმეურნეო ტყე; 6.ფერდობის დაქანება----------. 7. ფართობი----------;

7.აღრიცხვასდაქვემდებარებული 8სმდამეტიტაქსაციურიდიამეტრისმერქნულირესურსისრაოდენობა (ცალებში) მოცულობა (კბმ) დიამეტრებისადამერქნულირესურსისსახეობებისმიხედვით

N	სახეობა	ტაქსაციურიდიამეტრი (სმ)	რაოდენობა (ცალი)	მოცულობა (კბმ)	შენიშვნა
1	2	3	3	4	5
	სულსახეობებისმიხედვით				

განმარტება: მოცულობაშიიანგარიშებამერქნულირესურსისღეროსმოცულობასდამატებულიშეშავარჯიდან. შეშავარჯიდანიანგარიშებაფოთლოვანიხეებისათვის (გარდათხმელის, აკაციისდაწყავის) ღეროსმოცულობის (ქერქით) 10%, ხოლოწიწვიანიხეებისათვისღეროსმოცულობის (ქერქით) 5%.

8. გარდა ამისა 8 სმ-ზე ნაკლები ტაქსაციური დიამეტრის მერქნული რესურსის საორიენტაციო მოცულობა სახეობების მიხედვით----------

9.სულ აღრიცხვას დაქვემდებარებული მერქნული რესურსის მოცულობა---------- (კბმ)

10. აღრიცხვის უწყისი შეადგინა (თანამდებობა, სახელი, გვარი)----------;

ხელმოწერა----------

შენიშნვა: აღიცხვის უწყისის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ტყის ფონდის კორექტირებას (ამორიცხვას) ან/და სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას დაქვემდებარებული ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია (შეიპფაილი).